განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2018-07-10

დასკვნის წარდგენის თარიღი 2018-08-02

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების მაგისტრი<br>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი(1-4 კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)<br>მე-5 - მე-6 კლასების მასწავლებელი, უფლება აქვს ასწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა ან მათემატიკა ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ან ჩვენი საქართველო. |
| სწავლების ენა | 03 |
| კრედიტების რაოდენობა | ქართული |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | 300 |
| | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ასოცირებული პროფესორი ვიტალია გრაციენე(პანელის ხემძღვანელი) ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიტვა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პროფესორი ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქ-ნ ლალი ბერიშვილი (დასაქმების ექსპერტი), საქართველო |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქ-ნ თინათინ გაბრიჩიძე(ექსპერტ-სტუდენტი) საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მისასალმებელია სოხუმის უნივერსიტეტის სურვილი, გააგრძელოს ისტორიული მისია(1932 წლიდან მოყოლებული) კვალიფიციური მასწავლებლების მომზადებისა რეგიონისთვის.

ახალი პროგრამა განვითარდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, არის ახალგაზრდა კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტი და აღნიშნული პროგრამა შეიქმნა ზემოთხსენიებული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობიდან გამომდინარე. შესაფასებლად წარმოდგენილი სსუ-ის ინტეგრირებული საბაკავრო-სამაგისტრო პროგრამის მიზანია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება, რომელიც განათლების მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხით განაგრძობს მუშაობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (დაწყებით და მე-5 - მე-6 კლასებში.) აღნიშნული პროგრამა წინა პროგრამისგან განსხვავდება განათლების საფეხურით, მიზნებით, სწავლის შედეგებით, შინაარსითა და კვალიფიკაციით (გაათლების მეცნიერებათა მაგისტრი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი(1-4 კლასებში - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; უფლებით მე-5 და მე-6 კლასებში ასწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა ან მათემატიკა ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ან ჩვენი საქართველო.)

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ხელმძღვანელებმა, ფაკულტეტის წევრებმა, მოწვეულმა ლექტორებმა, დამსაქმებლებმა და სტაჟირების ზედამხედველებმა, ასევე სტუდენტებმა და ამჟამინდელი პედაგოგიური პროგრამის კურსდამთავრებულებმა (BA). ექსპერტებმა, შიდა ინსტიტუციური ტურის ფარგლებში, დაათვალიერეს უნივერსიტეტი, შეამოწმეს ის ობიექტები(ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ოფისები), რომლებიც პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია ბიბლიოთეკის რესურსებთან დაკავშირებით.

დღის ბოლოს, სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს , წარედგინათ აღნიშნული ვიზიტის მთავარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. პროგრამების | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება | | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | X | | |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამა, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვებზე, ნაცვლად საგნებზე ორიენტირებული კურიკულუმისა.
  - უნდა გაფართოვდეს სტუდენტი მასწავლებლების ზოგადი კომპეტენციის განვითარების მიზნები (კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედობითობა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და ა.შ.) და ისინი ასახული უნდა იყოს სხვადასხვა კურსის შინაარსში.
  -
  - ყველა კომპეტენციისთვის უნდა შემუშავდეს უფრო მეტი ღირებულებითი ელემენტი და ისინი უნდა იყოს ნათლად და დეტალურად აღწერილი.
  - სტუდენტი მასწავლებლისთვის, სწავლის დონის შესაბამისი, პასუხისმგებლობის დონისა და ავტონომიურობის ხარისხის მისაღწევად(პრაქტიკის ბლოკის გაუმჯობესების გზით), უნდა გადაიხედოს არჩევით საგნების ბლოკი და მთელი კურიკულუმი.

- სტუდენტი მასწავლებლისთვის სწავლის დონის შესაბამისი პასუხისმგებლობის დონისა და ავტონომიურობის ხარისხის მისაღწევად, პერსონალმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, უფრო გასაგები უნდა გახადოს კვლევის კონცეფცია და მნიშვნელობა.
- ინტეგრაციული მიდგომა უნდა იყოს ჩართული პროგრამაში(საგნისა და მისი მეთოდოლოგიის სწავლების კომბინაციით; უნდა დაინერგოს STEAM მიდგომა)
- კურიკულუმის ხარისხის უზრუნველყოფისთვის განსხვავებული ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს პრაქტიკული კურსების ბლოკი(დაწყება, რაოდენობა); კურიკულუმში უნდა იყოს გათვალისწინებული ახალი კურსები, ასევე, უნდა გადაიხედოს არჩევითი/სავალდებული საგნების ბლოკი.
- სწავლის შედეგების მისაღწევად, კურიკულუმი უნდა ჩამოყალიბდეს განსხვავებული ფორმით და ის უნდა დაეყრდნოს საგნების ლოგიკურ თანმიმდევრობას.
- კურსების აღწერაში, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ბლოკი უფრო ნათლად უნდა იყოს აღწერილი.
- თუ კურსდამთავრებულები იღებენ მასწავლებლის კვალიფიკაციასაც, ეს ინფორმაცია უფრო ნათლად უნდა იყოს მიწოდებული(რომ, სტუდენები მხოლოდ მაგისტრის ხარისხს არ მიიღებენ).
- თავისუფალი მოდულის კურსებითვის: ქართული კულტურის ისტორიისა და ზოგადი ფსიქოლოგიის კურსებისთვის უნდა შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა, ან რიდერი უნდა მომზადდეს უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით.
- არჩევითი კურსებისთვის: მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის კურსებისთვის უნდა შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა, ან რიდერი უნდა მომზადდეს უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით.
- გთავაზობთ, სწავლების შედეგების შემცირებას, რათა დარჩენილი(სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები) ნაწილის შეფასება და მონიტორინგი უკეთ განხორციელდეს.
- გთავაზობთ, თავიდან ჩამოყალიბდეს ფართო განმარტებები და სწავლების შედეგები უფრო კონკრეტული და მიღწევადი იყოს.
- პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული, რომ შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლების შედეგებს.
-
- სტუდენტების პრაქტიკის საკითხზე სკოლებთან მემორანდუმების გაფორმებისას მხარეთა უფლება-მოვალეობები დაზუსტებული უნდა იყოს.
- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს აქტიური სწავლების მეთოდები - პროექტების სწავლა, პრობლემის გადაჭრის მეთოდები და ა.შ.
- სილაბუსებში აღწერილი მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კურსის აღწერებს.
- ინდივიდუალური სწავლების კონცეფცია უნდა გაფართოვდეს და მასზე ხელი მხოლოდ სსმ სტუდენტებს არ უნდა მიუწვდებოდეთ.
- სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შანსები უნდა გაუმჯობესეს.
- სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად, თანამედროვე სწავლებისა და პროგრამაში აღნიშნული სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოსაყენებლად, უნივერისტეტის აუდიტორიები უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი.
- შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფა: სტუდენტებისთვის საჭიროა თანამედროვე, უცხოური ლიტერატურა, განსაკუთრებით სამაგისტრო ნაშრომის წერისას და კვლევის ჩატარების პროცესში; ასევე, საჭიროა ბიბლიოთეკის

განახლება უახლესი პერიოდული და ელექტონული რესურსებით, რათა სტუდენტებმა შეძლონ მოთხოვნების შესრულება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - იმისათვის, რომ მიიღოთ ნათელი, რეალური, მიღწევადი და ურთიერთდაკავშირებული შედეგები, ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული ისეთ კომპეტენციებზე, როგორებიცაა: ცოდნა ბავშვისა და მისი საჭიროებების შესახებ, მისი გამოცდილების კონტექსტი, ბავშვობის ფენომენი, ბავშვის კულტურა; ინტეგრაციის უნარების სხვადასხვა სახის კომპეტენცია უნდა იყოს უფრო თვალსაჩინო (საგნების ინტეგრაცია, აქტივობა, მეთოდები და ა.შ.); მშობლებთან ურთიერთობის კომპეტენცია სტუდენტი მასწავლებლებისთვის (ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნული სფეროს თეორიებზე, პრინციპებსა და სტრატეგიებზე).

  - კურიკულუმი და კურსები უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ განხილული ახალ კომპეტენციებს.

  - უნდა გაფართოვდეს სტუდენტი მასწავლებლების ზოგადი კომპეტენციის განვითარების მიზნები (კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედობითობა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და ა.შ.) და ისინი ასახული უნდა იყოს სხვადასხვა კურსის შინაარსში.

  - ყველა კომპეტენციისთვის უნდა შემუშავდეს უფრო მეტი ღირებულებითი ელემენტი და ისინი უნდა იყოს ნათლად და დეტალურად აღწერილი.

  - უნდა აღიწეროს პროგრამის სიახლე, რომელიც მხოლოდ განათლების პოლიტიკის გამოწვევებზე არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ მეორე ციკლის სწავლებისა და კომპეტენციების სასიცოცხლო (აუცილებელი) მახასიათებლებზე.
  - შედგეს დოკუმენტი, რომელშიც იქნება გადმოცემული პროგრამის მიზნების (კომპეტენციების) მარტივი სია, რომელიც იქნება ადვილად გასაგები, საჯარო და არა დანართის სახით მიწოდებული.
  - შეიქმნას გეგმა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის.
  - ყველა კურსი უნდა შეესაბამებოდეს კურიკულუმის განვითარებისთვის მოცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც აღნიშნული რეპორტის 2.2 ნაწილშია აღწერილი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>თვითშეფასების რეპორტის ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის მიხედვით, პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სფეროს მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო კვალიფიკაციის აღწერთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, პროფესიული განვითარებისა და კარიერიერული წინსვლის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სხვას მარეგულირებელ დოკუმენტებთან.<br>პროგრამის მიზნების განსაზღრავენ მისაწოდებელ ცოდნას, სტუდენტი მასწავლებლების იმ დამოკიდებულებებსა და უნარ-ჩვევებს , რომლის განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა: სფეროს კომპეტენციებს, საგნების კომპეტენციებსა და ზოგად კომპეტენციებს.<br>ზოგადად, მიზნები (კომპეტენციების სამივე ჯგუფი) ნათელია, რეალისტური, მიღწევადი და აქვთ ლოგიკური ურთიერთკავშირი, თუმცა, არასაკმარისად არის გამახვილებული ყურადღება ბავშვის შესახებ ცოდნასა და მის საჭიროებებზე, მისი გამოცდილების კონტექსტზე, ბავშვობის ფენომენზე, ბავშვის კულტურაზე (სხვა კომპეტენციების გარდა, რომლებიც მიმართულია: პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაზე, სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, მის წარმართვასა და შეფასებაზე, სასწავლო პროცესის შეფასებაზე, პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე). ასევე, სხვადასხვა უნარ-ჩვევის სფეროს კომპეტენციები უფრო თვალსაჩინო უნდა იყოს(საგანთან ინტეგრაცია, აქტივობა, მეთოდები და ა.შ.) მასწავლებლის ფუნქციებისა და როლების გათვალისწინებით სტუდენტი მასწავლებლის მშობლებთან ურთიერთობის კომპეტენცია არა ასახული (არაა გამახვილებული ყურადღება აღნიშნული სფეროს თეორიებზე, პრინციპებსა და სტრატეგიებზე).<br><br>აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სფეროსა და საგნის კომპეტენციების მიღწევადობა ძლიერ არის დამოკიდებული პროგრამის კურიკულუმის შემადგენლობაზე(თუ სასკოლო პრაქტიკა შედარებით გვიან იწყება ან საკმარისი არ არის პრაქტიკის კრედიტებისთვის, ამის ფონზე ბევრი სფეროსა და საგანის (და ზოგადიც) კომპეტენციები რისკის ქვეშაა, შეიძლება ისინი ვერ იყოს ათვისებული თავის დროზე ან სრული ფორმით)<br><br>ზოგადი კომპეტენციების ბლოკი (ანალიზისა და სინთეზის უნარები, ჯგუფებში მუშაობა, ახალი გარემოში ადაპტაცია, კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი) უნდა გაფართოვდეს და უფრო ამბიციური უნდა იყოს, მიმართული უნდა იყოს სტუდენტი მასწავლებლის პოტენციალის აღმოჩენაზე კრიტიკულ აზროვნებაში, პრობლემის გადაწყვეტაში, კრეატიულობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიებსა და ა.შ.<br><br>თითოეული კომპეტენციის განმსაზღვრელი ელემენტი - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები (ღირებულებები) თვალსაჩინოდ ნაჩვენებია პროგრამის |

| |
|---|
| დოკუმენტაციაში, წარმოდგენილია შეფასებისათვის, მაგრამ დამოკიდებულებების (ღირებულებების) ელემენტზე უფრო მეტია სამუშაო, ზოგიერთ ადგილას ზოგადად არის ფორმულირებული, ზოგიერთ შემთხვევაში კი, გაურკვევლად.<br><br>პროგრამის მიზნები მისიის თანმიმდევრულია (მიზნები და ინსტიტუციის სტრატეგიული გეგმა), რამეთუ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს 1932 წელს დაწყებულ მისიას რეგიონისთვის მოამზადოს კვალიფიციურ მასწავლებელთა ადამიანური რესურსი.<br><br>პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ჯერ -ჯერობით შემუშავებული არაა და ეს რეალური გამოწვევაა, რამეთუ შესაბამისი მიზნების მქონე მაღალი ხარისხის პროგრამა საერთაშორისო კონტექსტის ნაწილი უნდა იყოს - როგორც კვლევის, ისე სწავლების, რესურსების, პერსონალისა და სტუდენტების მობილობის დონეზე.<br><br>პროგრამის მიზნები ასახავს წვლილს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, რამეთუ იწყება სასწავლო პროცესი მასწავლებლის ახალი კომპეტენციებით აღჭურვისა. აუცილებელია აღიწეროს სიახლის ყველა შესაძლებელი პარამეტრი, არაა საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ ეს არის "აბსოლუტურად ახალი სახის მასწავლებელი"(თშდ, მე-8 გვერდი) სასწავლო ვიზიტმა გამოავლინა, რომ ახალი მიდგომა მასწავლებლების მომზადებაში მეტწილად დაკავშირებულია სტუდენტი მასწავლებლების სიღრმისეულ პრაქტიკასა და კვლევით უნარ-ჩვევებთან, თუმცა მაგისტატურის სწავლების ეტაპი მოიცავს ისეთ სავალდებულო კომპეტენციებს, როგორებიცაა ალტერნატივებზე ფიქრი, პრობლემის გადაჭრა ჩვეულებრივ და უცნობ სიტუაციებში, უნარი, რომ იყოს ამრეკლავი, უნარი შექმნას ცოდნა სფეროში და სფეროსთვის, და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>თვითშეფასების ანგარიში (სწავლების შედეგები; კურიკულუმი, სასწავლო გეგმა)<br>შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; ფაილი No 3 |
| **რეკომენდაციები:**<br><br>უნდა გაფართოვდეს სტუდენტი მასწავლებლების ზოგადი კომპეტენციის განვითარების მიზნები (კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედობითობა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და ა.შ.) და ისინი ასახული უნდა იყოს სხვადასხვა კურსის შინაარსში.<br><br>ყველა კომპეტენციისთვის უნდა შემუშავდეს უფრო მეტი ღირებულებითი ელემენტი და ისინი უნდა იყოს ნათლად და დეტალურად აღწერილი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>იმისათვის, რომ მიიღოთ ნათელი, რეალური, მიღწევადი და ურთიერთდაკავშირებული შედეგები, ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული ისეთ კომპეტენციებზე, როგორებიცაა: ცოდნა ბავშვისა და მისი საჭიროებების შესახებ, მისი გამოცდილების კონტექსტი, ბავშვობის ფენომენი, ბავშვის კულტურა; ინტეგრაციის უნარების სხვადასხვა სახის კომპეტენცია უნდა იყოს უფრო თვალსაჩინო(საგნების ინტეგრაცია, აქტივობა, მეთოდები |

| |
|---|
| და ა.შ.); მშობლებთან ურთიერთობის კომპეტენცია სტუდენტი მასწავლებლებისთვის(ყურადღება უნდა გამახვილდეს აღნიშნული სფეროს თეორიებზე, პრინციპებსა და სტრატეგიებზე).<br><br>კურიკულუმი და კურსებიპ უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ განხილული ახალ კომპეტენციებს.<br><br>უნდა აღიწეროს პროგრამის სიახლე, რომელიც მხოლოდ განათლების პოლიტიკის გამოწვევებზე არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ მეორე ციკლის სწავლებისა და კომპეტენციების სასიცოცხლო(აუცილებელი) მახასიათებლებზე.<br><br>შედგეს დოკუმენტი, რომელშიც იქნება გადმოცემული პროგრამის მიზნების(კომპეტენციების) მარტივი სია , რომელიც იქნება ადვილად გასაგები, საჯარო და არა დანართის სახით მიწოდებული.<br><br>შეიქმნას გეგმა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების |

| |
|---|
| გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სასწავლო პროგრამის შედეგების წერისას, უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში გათვალისწინებულია კვალიფიკაციის აღწერი და მასწავლებლის სფეროს მახასიათებლები სამ ბლოკად არის დაჯგუფებული: სფეროს, საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციები. პროგრამაში აღნიშნული სფეროს კომპეტენციები ხელს უწყობენ პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მის წარმართვასა და შეფასებას, სასწავლო პროცესის შეფასებას, პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. საგნობრივი კომპეტენციები: I-IV კლასებში მათემატიკის, ქართული ენისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების, ხოლოდ V-VI კლასებში მათემატიკის, ქართული ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჩვენი საქართველოს სწავლების კომპეტენციები; ზოგადი კომპეტენციები: ანალიზებისა და სინთეზის უნარ-ჩვევები, ჯგუფებში მუშაობა, ახალ გარემოში ადაპტაცია, კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობა, სწავლა და ა.შ. და წარმოდგენილია რუბრიკის სახით.<br><br>ამ ანგარიშში აღწერილია ანალიზი, კომენტარები და რეკომენდაციები პროგრამის მიზნების ნაწილზე (ზემოთ, 1.1). პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დონე, ზოგადად უფრო მაღალია, ვიდრე სწავლების პირველ ციკლში და შეესაბამება მეორე ციკლის მოთხოვნებს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში საეჭვოა, თუ სტუდენტი მიაღწევს აღნიშნულ დონეს (გვიან დაწყებული პრაქტიკა(მე-6; რეალურად მე-7 სემესტრში), ძალიან ცოტა კრედიტია გამოყოფილი პაქტიკისთვის, საკმარისი ხარისხით არაა დანერგილი პრაქტიკის ხელმძღვანელობა/მენტორობა/ტუტორობა, არც ისე მაღალია მოთხოვნები პრაქტიკის პორტფოლიოზე, შეუფერებელია საგანი "აუდიტორიული პედაგოგიკური პრაქტიკა და ა.შ., არჩევითი (არა სავალდებულო) საგანი სოციალური პედაგოგიკა, არაა კურსი ანდრაგოგიასა თუ ოჯახის სწავლებებში და ა.შ.<br><br>ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ ყველა მასწავლებელი სიღრმისეულად არ იცნობს კვლევის მიზნებს განათლებასა და განათლების მეცნიერებებში, ეს დიდი გამოწვევაა პროგრამისათვის, ამასთანავე, აღნიშნული საკითხი (კვლევაზე ფოკუსირება) სამაგისტრო სწავლების პრიორიტეტად არის გაცხადებული, თუმცა , კვლევა არ არის დაკავშირებული პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევასა და კონკრეტული პედაგოგიკური პრობლემის გადაჭრასთან (დაკაშირებული მხოლოდ კვლევის მეთოდებთან ან ბიბლიოგრაფიაზე მუშაობასთან), ასე რომ, ეს წარმოადგენს რისკს, რომ ვერ იქნას მიღწეული სწავლების შედეგების მეორე ციკლს.<br><br>პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების ციკლი, რომელიც მოიცავს მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს და ეს წარმოადგენს გარანტიას, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; სწავლების შედეგების შეფასება წარმოდგენილია კურიკულუმის რუქით; შედეგების შეფასების სტრატეგიები და მოთხოვნები წარმოდგენილია ცალ-ცალკე.<br><br>თშმ(თვითშეფასების მოხსენება)-ს მე9-10 გვერდებზე მოცემულია, რომ გათვალისწინებულია კურასდამთავრებულთა მასწავლებლის პროფესიით დასაქმების მოთხოვნები, აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლების მეცნიერებებში, თუმცა მაინც გაუგებარია, ისინი მასწავლებლის კვალიფიკაციას იღებენ თუ მხოლოდ სწავლების უფლებას. |

| |
|---|
| თშმ-ის ანალიზმა და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ ბევრი დაინტერესებული მხარე იღებს მონაწილეობას პროგრამის სწავლების შედეგების გაუმჯობესებაში: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის განხორციელება, სტუდენტები, წინა (დაწყებითი განათლების ბაკალავრები) პროგრამის კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები სკოლებიდან - დირექტორები და მასწავლებლები, ასევე უცხოელი პარტნიორები, ექსპერტები და ა.შ., თუმცა ადამიანთა ყველა ჯგუფს, რომლებიც შეხვედრაში იღებდა მონაწილეობას, არ შეეძლო ნათლად ჩამოეყალიბებინა პროგრამის მთავარი გამოწვევები ან სიღრმისეული კომენტარი გაეკეთებინათ სწავლის შედეგების ცვლილებასთან დაკავშირებით.<br><br>პოზიტიურია ის ფაქტი, რომ პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და სწავლების შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა ისევ მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ჩართულ ჯგუფებში და ასევე, აღნიშნული ჯგუფების ჩართვა სიღმისეულ დისკუსიაში.<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები რეგულარულად შეფასდება და სხვადასხვა ფორმების გამოყენებით (ანგარიშები, კვლევები, დისკუსიები), და შემდეგ შედეგებს გამოიყენებენ პროგრამის გაუმჯობესებისთვის: უნივერსიტეტი გეგმავს აკადემიური პერსონალის რეგულარულ ტრენინგებს, კონსულტაციებს, ღია ლექციებს / კოლეგიურ ზედამხედველობას, მუდმივი მონაწილეობას მიმდინარე და ახალ პროექტებში (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>თვითშეფასების ანგარიში (სწავლების შედეგები; კურიკულუმი, სასწავლო გეგმა)<br>შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; ფაილი No 3<br>კურიკულუმის რუკა<br>კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (აღნიშნული პროგრამის შემთხვევაში);<br>ვებ გვერდი sou.edu.ge<br>გამოკითხვის შედეგები; საქაღალდეები No 17, 18, 19, 20<br>ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სტუდენტი მასწავლებლისთვის, სწავლის დონის შესაბამისი, პასუხისმგებლობის დონისა და ავტონომიურობის ხარისხის მისაღწევად (პრაქტიკის ბლოკის გაუმჯობესების გზით), უნდა გადაიხედოს არჩევით საგნების ბლოკი და მთელი კურიკულუმი.<br><br>სტუდენტი მასწავლებლისთვის სწავლის დონის შესაბამისი პასუხისმგებლობის დონისა და ავტონომიურობის ხარისხის მისაღწევად, პერსონალმა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, უფრო გასაგები უნდა გახადოს კვლევის კონცეფცია და მნიშვნელობა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართულმა ყველა ჯგუფმა იცოდეს პროგრამაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები და შეეძლოთ პირველსა და მეორე ციკლებს შორის განსხვავებებზე საუბარი. |

| |
|---|
| ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართვა სისტემატურ და სიღრმისეულ დისკუსიებში სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.<br><br>გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც პროექტში მონაწილეობა პროგრამის პრიორიეტია; უნდა იყოთ პროაქტიულები, ეძებოთ შესაბამისი პროექტები მასში მონაწილეობის მისაღებად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების ზოგადი მასწავლებლის მოსამზადებელ, ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე მიღება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და სოხუმის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზების წესებით.<br><br>დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს ატესტატი და უნდა ჩააბაროს ოთხი ეროვნული გამოცდა: 3 მთავარი საგანი: ქართული და უცხო ენები, ზოგადი უნარები და მეოთხე გამოცდა, რომელიც ამათგან ერთ-ერთი უნდა იყოს: ქართული ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია. ინფორმაცია პროგრამაში მიღების მოთხოვნებზე საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.<br><br>აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა (მიღების წინაპირობები);<br><br>დადგენილება N 05 / 01-172 "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესახებ"<br><br>ვებ გვერდი http://old.sou.edu.ge/?lang_id=GEO<br><br>ვებ გვერდი http://old.sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=45<br><br>ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა შედგენილია HEI- ის მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, დიზაინსა და განვითარებას და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: 60 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტების მოდული; 180 კრედიტი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის / საგნობრივი ჯგუფის მეთოდური მოდული; 60 კრედიტი - კვლევითი პრაქტიკისა და სასკოლო პრაქტიკის მოდული. ფორმალურად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია და შეესაბამება მოთხოვნებს, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ეჭვები.<br><br>60 კრედიტის ბლოკი, რომელიც გამოყოფილია კვლევის პრაქტიკასა და სკოლის პრაქტიკაში, საჭიროებს შესწორებას, რამეთუ პრაქტიკა მოიცავს მხოლოდ 27 კრედიტს (30 - სამაგისტრო ნაშრომი და 3 კრედიტი - აუდიტორიული პედაგოგიკური პრაქტიკა, რომელიც ნაკლებად უნდა ჩაითვალოს სტუდენტების პრაქტიკის ნაწილად). ეს საკმარისი არ არის, პროგრამის 300 კრედიტისა და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებმა დაწყებით საფეხურსა და მე5-მე-6 კლასებში უნდა ასწავლონ, მათ ძალიან დიდი პრაქტიკა სჭირდებათ. პრაქტიკის დაგვიანებული დაწყება (მე-6, სინამდვილეში -მე- 7 სემესტრი) ასევე დაბრკოლებაა სტუდენტისათვის საჭირო მაღალი ხარისხის კომპეტენციისთვის. |

პროგრამის ფილოსოფია გავლენას ახდენს კურიკულუმის სტრუქტურასა და კურსების შინაარსზე. ამ ეტაპზე, პროგრამა ორიენტირებულია საგნებზე და არა ბავშვებზე და არაა დანახული მათი პერსპექტივიდან, რაც ეწინააღმდეგება კონსტრუქტივისტულ მიდგომას. უნდა შეიცვალოს არსებული მიდგომა და ზემოთაღნიშნული საკითხი გამოსწორდეს, უნდა გაუმჯობესდეს კურსების შინაარსი და პირველ რიგში, ეს სათაურებიდან უნდა დაიწყოს (დაწყებით კურსის საფუძვლებს მათემატიკაში(და სხვა მათემატიკურ საგნებს), რეალურად მათემატიკური ცოდნა(Mathematical Literacy) ჰქვია; დაწყებითი კურსის საფუძვლებს ქართულ ენაში(და სხვა ენის საგნებს) რეალურად ენის/კომუნიკაციის ცოდნა(Language / Communication Literacy) ჰქვია; "ფიზიოლოგია ჰიგიენითა და ფიზიკური განათლებით"-ს შეიძლება შეიცვალოს, როგორც "ბავშვის ჯანმრთელობა" და ა.შ.) პროგრამისთვის მომგებიანი იქნება, თუ სტუდენტებს შესთავაზებს აღნიშნულ კურსებს: ბავშვის კეთილდღეობა; ბავშვობის ანთროპოლოგია, ბავშვობის კულტურა და ა.შ.

პროგრამის კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ ის ცდილობს სწავლის ყველა შედეგი წარმოადგინოს; ახალი მულტიკულტურული მიდგომა კურიკულუმს ამდიდრებს, მაგრამ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა საჭიროა ინტეგრირებული მიდგომის - STEAM- ის და ა.შ. გამოყენებით. გაურკვეველია, 1-4 კლასის ბავშვები როგორ მიიღებენ ცოდნას, ჩამოუყალიბდებათ უნარ-ჩვევები და ღირებულებები სოციალურ და კულტურულ საკითხებზე, ისტორიაში, ეთნოკულტურაში, თუ კი სკოლის პროგრამაში არაა გათვალისწინებული საგნები აღნიშნულ საკითხებზე (არის მხოლოდ ენები, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) მიუხედავად იმისა, რომ ამ შეკითხვის ადრესატი არა სოხუმის უნივერსიტეტი, არამედ დაწყებითი განათლების კურიკულუმის შემოქმედნი არიან, აღნიშნული პროგრამის სტუდენტები მზად უნდა იყვნენ სკოლის კურიკულუმის პრობლემების კრიტიკულად განსახილველად და ინტერაქციული მიდგომის საფუძველზე უნდა შეეძლოთ აღმოფხვრან ის საკითხები, რომლებიც დაწყებითი განათლების სწავლების შედეგებით გათვალისწინებული არაა.

ზოგიერთი კურსი ისწავლება ძალიან გვიან - განათლების ფსიქოლოგია - მე-5 სემესტრი; ინკლუზიური განათლება - მე-4 სემესტრი (არ არის ნათელი, ეს კურსი სწავლის შუაში რატომ არის დაგეგმილი და არა დასაწყისში ან სწავლის ბოლოს); ზოგიერთი კურსი არ არსებობს- ოჯახის შესახებ სწავლება; კურსები ისწავლება არა ინტეგრაციული გზით და გამოყოფილია იმავე კურსის სწავლების მეთოდოლოგიისაგან.

მასწავლებლის მოსამზადებელი ინტეგრაციული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებსა და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; პროგრამებში ჩართული სასწავლო კურსები წარმოდგენილია სემესტრების შესაბამისად, ასევე, დაწესებულია შემდეგი კომპონენტებისათვის დაშვების წინაპირობები.

პროგრამა განსაზღვრავს სტუდენტების მოსალოდნელ საგანმანათლებლო დატვირთვას ECTS- ის კრედიტების მიხედვით, თუმცა ზოგ შემთხვევაში სტუდენტს არ მოეთხოვება დამოუკიდებლად სწავლა/მუშაობა; ეს კი ზიანს აყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომასა და ECTS სისტემის არსებით მნიშვნელობას, (ინგლისური ენა 7 (B2-C1) და სხვა ინგლისური ენის კურსები შედგება მხოლოდ საკონტაქტო საათებიდან: 6 კრედიტი (150 საათი) დაყოფილია 65 საკონტაქტო და 85 პრაქტიკულ სამუშაო საათებად). მიუხედავად იმისა, რომ კურსის სწავლა-სწავლების მთოდების აღწერაში მითითებულია სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაო, მაინც გაურკვეველია, რა დროა არის დათმობილი ამ ნაწილს და როგორ გამოიყურება ის რიცხვებში.

თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ: "პროგრამის შინაარსი განსაზღვრავს

| |
|---|
| სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის აბსოლუტურად ახალ მოდელს, ასევე ახალი კვლევის შედეგებს, სფეროს თანამედროვე მიღწევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს". რომ არ გავიმეოროთ, გთხოვთ იხილოთ აღნიშნული რეპორტის 1.1. და 1.2 თავები, სადაც აღწერილია პრაქტიკისა და კვლევის ნაწილის ძალიან კონკრეტული შენიშვნები.<br><br>იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული პროგრამა შედგება, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისაგან, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტები და სწავლის ინდივიდუალური გზა განსაზღვროს, მაინც არის გარკვეული დისბალანსი: ზოგიერთი კურსი უნდა იყოს სავალდებულო (სოციალური პედაგოგიკა, სოციალური ფსიქოლოგია, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, ექსტრაკურიკულური სამუშაოები), ზოგიერთს კი, პროგრამასთან კავშირი არ აქვს (ზრდასრულთა ასოციალურ ქცევის პრევენცია, მსოფლიო ლიტერატურის ისტორია). მეორე მხრივ, კრედიტების ძალიან დიდი ნაწილია გამოყოფილი ინგლისური ენის სწავლებისთვის. ზოგადად, ეს პოზიტიური სტრატეგიაა, თუმცა საჭიროა ალტერნატივების ძიება სტუდენტებში ინგლისური ენის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის (არჩევნები, მოსამზადებელი კურსები და ა.შ.), ნაცვლად სფეროს სწავლების ამდენი დროის დათმობისა.<br><br>ასე რომ, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br><br>ზოგადი მისანიჭებელი კვალიფიკაცია- განათლების მეცნირებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი- შესაბამისობაში მოდის პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა შინაარსი, მოცულობა და სირთულე დაწყებითი განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი, ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სწავლის მეორე დონეს. გაურკვეველია, კურსდამთავრებულებს ენიჭებათ თუ არა მასწავლებლის კვალიფიკაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>თშა (სწავლების შედეგები; კურიკულუმი, სასწავლო გეგმა)<br>შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; ფაილი No 3<br>კურიკულუმის რუკა<br>გამოკითხივის შედეგები; საქაღალდეები No 17, 18, 19, 20<br>ინტერვიუს შედეგები, ფაილი No 3, საქაღალდეები No 17, 18, 19, 20<br>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, განხორციელებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია; მოცემულია ინსტრუქცია სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისა და დამტკიცების შესახებ, ფაილი No 6 და ფაილი No 7.<br>ვებ გვერდი sou.edu.ge |
| რეკომენდაციები:<br><br>პროგრამა, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვებზე, ნაცვლად საგნებზე ორიენტირებული კურიკულუმისა.<br><br>ინტეგრაციული მიდგომა უნდა იყოს ჩართული პროგრამაში (საგნისა და მისი მეთოდოლოგიის სწავლების კომბინაციით; უნდა დაინერგოს STEAM მიდგომა) |

კურიკულუმის ხარისხის უზრუნველყოფისთვის განსხვავებული ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს პრაქტიკული კურსების ბლოკი (დაწყება, რაოდენობა); კურიკულუმში უნდა იყოს გათვალისწინებული ახალი კურსები, ასევე, უნდა გადაიხედოს არჩევითი/სავალდებული საგნების ბლოკი.

სწავლის შედეგების მისაღწევად, კურიკულუმი უნდა ჩამოყალიბდეს განსხვავებული ფორმით და ის უნდა დაეყრდნოს საგნების ლოგიკურ თანმიმდევრობას.

კურსების აღწერაში, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ბლოკი უფრო ნათლად უნდა იყოს აღწერილი.

თუ კურსდამთავრებულები იღებენ მასწავლებლის კვალიფიკაციასაც, ეს ინფორმაცია უფრო ნათლად უნდა იყოს მიწოდებული(რომ, სტუდენები მხოლოდ მაგისტრის ხარისხს არ მიიღებენ).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

| |
|---|
| - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>აღნიშნულ ინტეგრირებულ პროგრამაში მოცემული კურსები ავითარებენ მაგისტრის კვალიფიკაციასა და კომპეტენციას. კურსების სილაბუსების შინაარსი და კრედიტთა რაოდენობა უზრუნველყოფს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, ისეა ორგანიზებული, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგები და მეთოდოლოგია ემთხვევა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, თუმცა , ყველა კურსი უნად შეესაბამებოდეს აღნიშნული რეპორტის 2.2 ნაწილში კურიკულუმის განვითარებისთვის მოცემულ შემოთავაზებებს. ძირითადი სასწავლო კურსები შეესაბამება შინაარსს და აქცენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით. კურსის სწავლის შედეგები მიზნად ისახავს კურსდამთავრებულისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას და ისინი წარმოადგენენ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების კომბინაციას. სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა თითოეული სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 და 6 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. ერთ-ერთი კურსის სილაბუსი: მოზარდის ასოციალურ ქცევის პრევენცია პაკეტში არ შედის. სწავლების მეთოდების შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა. ძირითადი აქცენტი გაკეთდა სწავლის შედეგების მისაღწევად შესაბამისი მეთოდებისა და ღონისძიებების შერჩევაზე.<br><br>ლიტერატურა შერჩეულია სფეროს სიახლეებზე დაყრდნობით. ლექციის კურსი / რიდერი მზადდება კურსების ფარგლებში. თუმცა, ჩვენ გვაქვს სპეციფიური კომენტარები თავისუფალი კომპონენტის მოდულის კონკრეტულ საგნებზე: ქართული კულტურის ისტორია; ზოგადი ფსიქოლოგია. აღნიშნული კურსების სავალდებულო ლიტერატურაში მოცემულია მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც 10 ან მეტი წლის წინ დაიბეჭდა; იგივე ეხება შემდეგ არჩევით კურსებს: მსოფლიო ლიტერატურის ისტორია; ქართული რიტორიკა (Speech). შესაბამისად, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია სავალდებულო ლიტერატურის შეცვლა ან რიდერის მომზადება კურსებისთვის უახლესი კვლევების საფუძველზე.<br><br>კურსებში ძალიან ბევრი სწავლის შედეგია მოცემული, ზოგიერთი მათგანი ძალიან ფართოა იმისათვის, რომ გაიზომოს მისი მიღწევადობა. მაგალითები ასეთია: "მსოფლიოს აღიქვამს ესთეტიკურად, აქვს უნარი დააკვირდეს და სიამოვნება მიიღოს მისგან." ვიზუალური ხელოვნება. "ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადი და ეროვნული ღირებულებების განვითარებას." - მათემატიკის საფუძვლები 1, 2, 3 და 4, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. "ვიცი, როგორ გავხდეთ დაწყებითი საფეხურის წარმატებული მასწავლებელი." - საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლები |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| ბრძანება # 05 / 01-20 "სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმები";<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა);<br><br>სასწავლო კურსების სასწავლო პროგრამები; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>თავისუფალი მოდულის კურსებითვის: ქართული კულტურის ისტორიისა და ზოგადი ფსიქოლოგიის კურსებისთვის უნდა შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა, ან რიდერი უნდა მომზადდეს უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით.<br><br>არჩევითი კურსებისთვის: მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ენის კურსებისთვის უნდა შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა, ან რიდერი უნდა მომზადდეს უახლოეს კვლევებზე დაყრდნობით.<br><br>გთავაზობთ, სწავლების შედეგების შემცირებას, რათა დარჩენილი (სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები) ნაწილის შეფასება და მონიტორინგი უკეთ განხორციელდეს.<br><br>გთავაზობთ, თავიდან ჩამოყალიბდეს ფართო განმარტებები და სწავლების შედეგები უფრო კონკრეტული და მიღწევადი იყოს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>ყველა კურსი უნდა შეესაბამებოდეს კურიკულუმის განვითარებისთვის მოცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც აღნიშნული რეპორტის 2.2 ნაწილშია აღწერილი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
